ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/36757-16 22. 05. 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ.ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის (საკ.კოდი №01.10.14.015.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ც“ ბლოკი (საოფისე შენობა)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №01/1035 17.05.2011წ.
მშენებლობის სანებართვო მოწმობა – ნ/1103-1 17.05.2011წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ.ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის (საკ.კოდი №01.10.14.015.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-8“ ფასადზე: „1-2“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე ფანჯრების მიმდებარედ არ ფიქსირდება მოპირკეთების ხაზები. „7-8“ მონაკვეთში ვიტრაჟში გაუქმებულია კარი. „6-8“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი საფეხურები და პანდუსი. „3-4“ მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიგანე 0.80მ-ით, „1-4“ მონაკვეთში +15.43 ნიშნულზე ვიტრაჟებს შორის სივრცე ნაცვლად მინისა შევსებულია და მოპირკეთებულია საფასადე პანელებით. „1-8“ მონაკვეთში +18.98 ნიშნულზე არ არის მოწყობილი მოაჯირი. „1-5“ მონაკვეთში საბურავზე დამატებით მოწყობილია ჩილერები, სატელიტური ანტენა, ასევე დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქცია გადახურვით.

„ა-დ“ ფასადზე: დ-დ ღერძიდან მარცხნივ +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია 3 სავენტილაციო ღიობი. ცოკოლის ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს. საბურავზე გაზრდილია სავენტილაციო შახტის სიმაღლე და მასზე დამატებით მოწყობილია ლითონის „ქუდი“. +18.98 ნიშნულზე არ არის მოწყობილი მოაჯირი, გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე 0.15მ-ით. „დ-დ“ ღერძიდან მარჯვნივ შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი და არ არის მოწყობილი კიბეები.

„8-1“ ფასადზე „1-1“ ღერძის მიმდებარედ მიწის დონეზე დამატებით მოწყობილია საფეხურები. „8-5“ მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე 0.15მ-ით. „4-1“ მონაკვეთში სარდაფის სართულზე კედელი არ არის მოპირკეთებული ბაზალტის ქვით. „5-4“ მონაკვეთში +3.35 ნიშნულიდან ზევით მთელ სიმაღლეზე დამატებით მოწყობილია ვიტრაჟები. „5-4“ მონაკვეთში გაზრდილია კედლის სიმაღლე 0.30მ-ით. „8-8“ ღერძების მიმდებარედ +3.35 ნიშნულის ქვევით გაზრდილია ნარინჯისფერი საფასადე პანელის მოპირკეთების სიმაღლე. „8-1“ მონაკვეთში, +18.98 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი, ამავე ნიშნულზე „5-1“ მონაკვეთში გაუქმებულია კარები, მის ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები, ასევე დამატებით მოწყობილია ფანჯრები, ხოლო კედლის მოპირკეთების ფაქტურა არ ემთხვევა საპროექტოს და დამატებით მოწყობილია პწკალა. „5-3“ მონაკვეთში გაზრდილია ლიფტის სამანქანოს სიმაღლე 0.80მ-ით. „5-4“ მონაკვეთში სარდაფის სართულზე დამატებით მოწყობილია საჩრდილობელი.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების, კარებისა და ფანჯრების ნახატი, ხოლო ნაწილობრივ მათში მოწყობილია გაუმჭვირვალე მინები. ასევე პროექტში ფასადებზე არ ფიქსირდება საფასადე პანელებით მოპირკეთების ხაზები.

-2.90 ნიშნულზე: „5-2“ მონაკვეთში პანდუსის მიმდებარედ არ ფიქსირდება კედლიდან კოლონების გამოსვლა, აღნიშნული პანდუსის ნაწილი არ არის მოპირკეთებული და

სანიაღვრე არხს მონაცვლებული აქვს ადგილი. „6-8“ მონაკვეთში შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია პანდუსი.

+0.00 ნიშნულზე: „1-8“ მონაკვეთში ა-ა ღერძის გარეთ შემცირებულია ტერიტორიის მოპირკეთების სიგანე და არ არის მოწყობილი გამწვანება. „2-3“ მონაკვეთში ა-ა ღერძზე ვიტრაჟში დამატებით განთავსებულია კარი და მის მიმდებარედ შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია საფეხურები. „3-1“ მონაკვეთში „დ-გ“ ღერძებს შორის აწეული დონისა და საფეხურების კონფიგურაცია. „4-5“ მონაკვეთში შენობის შიგნით შემცირებულია საფეხურების სიგანე, შემცირებულია აწეული დონის გაბარიტი და შეცვლილია შიდა კიბის უჯრედის საფეხურების კონფიგურაცია, ასევე „ა-ა“ ღერძის შიგნით დამატებულია საფეხურები. „7-8“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის არ არის მოწყობილი დონე. „დ-დ“ ღერძის გარეთ ტერიტორია არ არის კეთილ მოწყობილი. „8-6“ მონაკვეთში „დ-დ“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კაპიტალური ფართი ზომებით 1.20მ×2.45მ H=1.30მ.

+18.93 ნიშნულზე: „1-2“ მონაკვეთში კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „2-2“ ღერძისკენ რითაც შემცირდა ფართი 25კვ.მ-ით. „3-4“ მონაკვეთში ლიფტის უკრედში დამატებით მოწყობილია ფილა. სახურავზე შემცირებულია სავენტილაციო შახტის სიგანე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „ანრი 2005“-ს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, ალ.ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის (საკ.კოდი №01.10.14.015.035) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის „ც“ ბლოკი (საოფისე შენობა)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/36757-16 04.04.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**